პრეზიდენტი
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი

უფლის ხმა

მოძღვრება და აღთქმები იწვევენ ადამიანებს, დედამიწის ყოველ კუთხეში, უსმინონ უფალ იესო ქრისტეს ხმას (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 1:2, 4, 11, 34; 25:16). ის სავსეა მისი გზავნილებით, გაფრთხილებებითა და შემაგულიანებელი მოწოდებებით, რომლებიც გამოცხადების სახით მიეცათ რჩეულ წინასწარმეტყველებს. ამ გამოცხადებებში შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ პასუხობს უფალი ჩვენს რწმენით აღსავსე ლოცვებს, განსწავლის, სიმშვიდისა და გაფრთხილების გზავნილებით.

ლოცვებში ჩვენ მივისწრაფვით იმისკენ, რომ გავიგოთ, თუ რა სურს ჩვენგან ღმერთს, ის, თუ რა უნდა ვაკეთოთ იმისთვის, რომ მოვიპოვოთ სიმშვიდე და ბედნიერება ამ ცხოვრებაში და იმ ქვეყნად და ის, თუ რა გველის წინ. მოძღვრება და აღთქმები სავსეა ასეთ კითხვებზე პასუხებით. მათ ჩვეულებრივი ადამიანები და წინასწარმეტყველები მორჩილი ლოცვით სვამდნენ. ეს შეიძლება გახდეს ჩვენთვის, ძვირფასი გზამკვლევი მიწიერი კეთილდღეობისა და მარადიული ხსნის შესახებ კითხვებზე პასუხის მისაღებად.

მორჩილება და უფალი იესო ქროსტეს რწმენა არის გასაღები. ოლივერ ქაუდერიმ, მისი მორმონის წიგნის თარგმნასთან დაკავშირებულ სურვილზე მიიღო ასეთი პასუხი უფლისგან: ‘გახსოვდეს, რომ რწმენის გარეშე ვერაფერს ვერ გააკეთებ; ამიტომ შესთხოვე რწმენით. ნუ ეხუმრებით ამას; ნუ მოსთხოვთ იმას, რაც არ უნდა ითხოვოთ“ (D&C 8:10).

მოძღვრება და აღთქმებში ყველგან კვლავ და კვლავ მეორდება უფლის მოთხოვნა, ვიქონიოთ რწმენა და მორჩილება, სანამ ის გაგვიწევს დახმარებას. ამის ერთი მიზეზია ის, რომ მისი პასუხები შესაძლოა არ მოვიდეს იმ ფორმით, რა ფორმითაც ამას ველით. არც მისაღებად არ იქნება ისინი ადვილი.

ეკლესიის ისტორია და ჩვენი წინაპრების გამოცდილება გვიჩვენებენ ამის რეალობას. ჩემმა დიდმა ბაბუამ, ჰენრი აირინგმა, მხურვალედ ილოცა იმისთვის, რომ გაეგო, რა უნდა ექნა, როდესაც მან 1855 წელს მოისმინა აღდგენილი სახარება. პასუხი სიზმარში მიიღო.

მას დაესიზმრა, რომ იჯდა მაგიდასთან უხუცეს ერასტუს სნოუსთან ერთად, თორმეტი მოციქულის ქვორუმიდან და კიდევ ერთ უხუცესთან ერთად, სახელად უილიამ ბრაუნი. უხუცესმა სნოუმ სახარების პრინციპების სწავლებას თითქმის ერთი საათი მოანდომა. მერე უხუცესმა სნოუმ თქვა: „იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ მოინათლო და ამ ადამიანმა [უხუცესმა ბრაუნმა] . . . უნდა მოგნათლოს“.[1] ჩემი ოჯახი მადლიერია იმისთვის, რომ ჰენრი აირინგს ჰქონდა

რწმენა და მორჩილება მონათლულიყო დილის 7:30 წვიმის წყლით სავსე აუზში, ამერიკაში, მისურის შტატის სეინტ ლუისის ქალაქში, უხუცეს ბრაუნის მიერ.

პასუხი მის ლოცვაზე არ მოვიდა უფლისგან გაჟღერებული ხმით. იგი მოვიდა ღამით, ხილვაში და სიზმარში, ისე, როგორც ლეხის შემთხვევაში (იხილეთ 1 ნეფი 8:2).

უფალმა გვასწავლა, რომ პასუხები შეიძლება გრძნობების სახითაც მივიღოთ. მოძღვრება და აღთქმებში მან ასწავლა ოლივერ ქაუდერის: „აჰა, გეტყვი გონებაში და გულში, სული წმინდის მეშვეობით, რომელიც გადმოვა შენზე და დაბინავდება შენს გულში“ (D&C 8:2).

და მან წააქეზა ოლივერი სიტყვებით: „განა არ დაგიმშვიდე გონება იმის გამო, რაც მკითხე? განა შეიძლება იყოს უფრო დიდი მოწმობა, ვიდრე ის, რაც ღმერთისგან მოდის“? (მოძღვრება და აღთქმები 6:23)

მოძღვრება და აღთქმებმა, ეკლესიის ისტორიამ და ჰენრი აირინგის ისტორიამ, რომელიც მან დაწერა თავის მისიის განმავლობაში საკუთარი ნათლობის შემდეგ, მასწავლეს ის, რომ პასუხი შეიძლება იგრძნო, როგორც გაფრთხილება ან როგორც სიმშვიდე.

1857 წ. აპრილში უხუცესი პარლი პ. პრატი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან დაესწრო კონფერენციას ამერიკაში, ამჟამინდელ ოკლაჰომას შტატში. ჰენრი აირინგმა ჩაწერა, რომ უხუცესი პრატის „გონება სავსე იყო ცუდი წინათგრძნობებით . . . , ის ვერც მომავალს წინასწარმეტყველებდა და ვერც თავის დაღწევის გზას ხედავდა“.[2] ჰენრიმ, სამწუხარო ამბავი მოციქულის მკლელობისთანავე ჩაიწერა. უხუცესმა პრატმა, საფრთხის გრძნობის მიუხედავად, გააგრძელა მოგზაურობა, ზუსტად ისე, როგორც ეს გააკეთა წინასწარმეტყველმა ჯოზეფ სმითმა, როდესაც კართიჯში მიდიოდა.

ეს არის ჩემი მოწმობა იმისა, რომ უფალი ყოველთვის პასუხობს რწმენით გამოწვეულ მორჩილ ლოცვას. მოძღვრება და აღთქმები, ასევე ჩვენი პირადი გამოცდილება გვასწავლის, თუ როგორ ამოვიცნოთ მსგავსი პასუხები და რწმენით მივიღოთ ისინი, იქნება ეს მითითება, ჭეშმარიტების დამოწმება თუ გაფრთხილება. მე ვლოცულობ იმაზედ, რომ ჩვენ ყოველთვის ვუსმინოთ და ამოვიცნოთ უფლის სიყვარულით აღსავსე ხმა.

შენიშვნები

1. “The Journal of Henry Eyring: 1835–1902” (ხელნაწერი, რომელიც არ გამოქვეყნებულა და წარმოადგენს ავტორის საკუთრებას).
2. “The Journal of Henry Eyring: 1835–1902.”

ამ მოწოდების სწავლება

1. ერთად წაიკითხეთ ამ გზავნილის ის აბზაცები, რომლებიც ეხება ლოცვას. კითხვისას, სთხოვეთ ოჯახის წევრებს ყურადღებით მოისმინონ ის, თუ როგორ პასუხობს უფალი ლოცვებს. დაამოწმეთ ლოცვის მნიშვნელობა.

2. მოძღვრება და აღთქმებში მოიპოვება უამრავი პასუხი კითხვებზე, რომლებიც ადამიანებს ლოცვის დროს უჩნდებათ. რა მოხდება, ამ კითხვებზე პასუხები (გამოცხადებები) თუ არ ჩაიწერება? შეაგულიანეთ ოჯახის წევრები იმაზედ, რომ ისწავლონ, თუ როგორ ამოიცნონ სულიწმინდის კარნახი და იმოქმედონ ამ კარნახის შესაბამისად. მათ, შესაძლოა, გაუჩნდეთ სურვილი ჩაიწერონ დღიურში ლოცვასთან დაკავშირებული საკუთარი აზრები.

ახალგაზრდები

კარნახის მოსმენა

მარია ისაბელ მოლინას მიერ

ერთხელ საღამოს ჩემი ახალგაზრდა ნათესავი სახლიდან გაიქცა, ასე, რომ მე სასწრაფოდ მის მოსაძებნად გავეშურე. მანქანის მართვის დროს მე ვლოცულობდი სულიწმინდის დახმარებისთვის. მე ვიცოდი, რომ ღმერთი მიპასუხებდა და სწორ მიმართულებას მომცემდა, ამიტომ ვცდილობდი მომესმინა სულიწმინდის კარნახი. მაგრამ, როდესაც ვერაფერს ვერ ვიგებდი, სასოწარკვეთილი ვიყავი და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სული წმინდა არ მკარნახობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მინდოდა უფრო შორს წავსულიყავი საძებნელად, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ნათესავის სახლის მიდამოებში უნდა დავრჩენილიყავი. ასე რომ, გადავწყვიტე კიდევ ერთხელ შემომევლო ახლომდებარე ტერიტორია. როდესაც

გზაჯვარედინზე გავჩერდი, ახალგაზრდა გოგონას სილუეტი დავინახე. მე ჩემი ნათესავი ვიპოვე!

როდესაც მანქანიდან გადმოვედი და მისკენ გავიქეცი მივხვდი, რომ სული სულ მეხმარებოდა მეგრძნო, რომ იმავე მიდამოებში უნდა დავრჩენილიყავი. ჩუმი ხმის გაგების მოლოდინში, მე კინაღამ უარვყავი სულის კარნახი. მე იმ დროს მივხვდი, რომ ხშირ შემთხვევაში, ჩვენ ხმას ვერ გავიგონებთ, მაგრამ გულში შეგრძნება გვექნება.

მე ისეთი მადლობელი ვიყავი სული წმინდის ხელმძღვანელობისთვის. ჭეშმარიტად, ის მუდამ ჩვენთან არის! როგორც წმინდა წერილშია ნათქვამი: „სული წმინდა იქნება შენი მუდმივი თანამგზავრი“ (მოძღვრება და აღთქმები 121:46).

თუ სული წმინდის კარნახის ღირსნი ვართ და ყურადღებით ვართ მის მიმართ განწყობილნი, ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ სხვებისთვის, სიკეთის მომტანი იარაღი ღვთის ხელში. სული წმინდის მუდმივი თანხლებით ჩვენ გვეცოდინება, რა გზით უნდა ვიაროთ.

ბავშვები

ლოცვასთან დაკავშირებული თავგადასავალი

პრეზიდენტი აირინგი გვასწავლის, რომ ლოცვაზე პასუხის მიღება მრავალი სხვადასხვა ხერხით არის შესაძლებელი. ამ ხერხების მოსაძებნად თქვენ შეგიძლიათ წმინდა წერილების, კვლევის თავგადასავალში გადაეშვათ.

მოძებნეთ ქვემოთ მოცემული ყოველი ამონარიდი წმინდა წერილიდან. თქვენს დღიურში მოკლედ აღწერეთ, რას ამბობს ეს ამონარიდი ლოცვაზე პასუხის მიღების შესახებ.

შეგიძლიათ ჩაწეროთ დღიურში თქვენი პირადი გამოცდილება, ლოცვაზე პასუხის მიღების თაობაზე.

იოანე 14:26

იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 6:22–23.

იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 8:2.

იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 9:8–9.

იგავები 8:10–11

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *First Presidency Message, January 2013.* Georgian. 10661 131

მისიონერული სამსახური

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

უკანასკნელი დღეების წმინდანები იგზავნებიან „უფლის ვენახში სამუშაოდ ადამიანთა სულების გადასარჩენად“ (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 138:56) და ეს შრომა მისიონერულ სამსახურსაც მოიცავს. ჩვენ არ გვჭირდება სახარების გაზიარებისთვის ოფიციალური მისიონერული მოწოდება. ისინი, ვისი ცხოვრებაც სახარებით იქნება დალოცვილი, ჩვენს ირგვლივ იმყოფებიან და უფალი გამოგვიყენებს ჩვენ იმისდამიხედვით, თუ როგორ მოვამზადებთ საამისოდ საკუთარ თავს. სტუმრად მოსულ მასწავლებლებს შეუძლიათ მიიღონ თავიანთი სულიერი პასუხისმგებლობა და დაეხმარონ „ადამიანთა უკვდავებისა და მარადიული ცხოვრების განხორციელებას“ (მოსე 1:39).

როდესაც წინასწარმეტყველმა ჯოზეფ სმითმა 1842 წ. დააარსა მოწყალების საზოგადოება, მან თქვა, რომ ქალებს არა მხოლოდ გაჭირვებულთა დახმარება, არამედ სულების გადარჩენა ევალებათ.[1] ეს კვლავაც ჩვენი მიზანია.

„უფალი . . . ანდობს ჭეშმარიტების დამოწმებას მათ, ვინც მას სხვებსაც გაუზიარებს“,-ბრძანა პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, პრეზიდენტმა დიტერ ფ. უხთდორფმა. „მეტიც, უფალი ელოდება თავისი ეკლესიის წევრებისგან იმას, რომ ისინი ‘ყოველთვის სიხარულით ამოიღებენ ხმას მისი სახარების გამოცხადების მიზნით’ (მოძღვრება და აღთქმები 28:16). . . . ზოგჯერ დამოწმების ცალკეულ ფრაზას შეუძლია, ისე შემოაბრუნოს მოვლენები, რომ ვიღაცის ცხოვრებაზე საუკუნო ზეგავლენა მოახდინოს“.[2]

წმინდა წერილებიდან

მოძღვრება და აღთქმები 1:20–23; 18:15; 123:12

ჩვენი ისტორიიდან

ყოფილი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მოქალაქის, ოლღა კოვაროვას ამბავი, მოწყალების საზოგადოების ისტორიის მისიონერული სამსახურის მაგალითია. 1970-იან წლებში ოლღა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა და მოწყურებული იყო უფრო ღრმა სულიერ ცხოვრებას. მან 75 წლის უკანასკნელი დღეების წმინდანი, ოთაკარ ვოჯკუვკა, შენიშნა. „ის სამოცდა თხუთმეტი წლის ასაკში იყო, მაგრამ გულით უფრო თვრამეტი წლის ახალგაზრდა და სიხარულით აღვსილი ადამიანი გახლდათ“, - თქვა ოლღამ.„ეს იმ დროინდელი ცინიკური ჩეხოსლოვაკიისთვის ისეთი უჩვეულო რამ იყო“.

ოლღამ ჰკითხა ოთაკარსა და მის ოჯახს, თუ როგორ იპოვეს მათ ცხოვრებაში სიხარული. მათ ოლღას ეკლესია და სხვა ესლესიის წევრები გააცნეს და მორმონის წიგნიც მისცეს. ოლღამ ის დიდი მონდომებით წაიკითხა და მალე მოინათლა და ეკლესიის წევრადაც დამტკიცდა. იმ დროიდან ოლღა პოლიტიკური ზეწოლისა და რელიგიური დევნის სამყაროში დადებით გავლენას ახდენდა. ის თავის პატარა მრევლში მოწყალების საზოგადოების პრეზიდენტად მსახურობდა და სხვების ქრისტესთან მოყვანით მათი სულების ხსნის პროცესს ეხმარებოდა.[3]

შენიშვნები

1. იხილეთ *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (2007), 453.
2. დიტერ ფ. უხთდორფი “Waiting on the Road to Damascus,” *ლიაჰონა*, May 2011, 76–77.
3. იხილეთ *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 92–95.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. მივყვები მე სული წმინდის კარნახს მაშინ, როცა ვუზიარებ საკუთარ დამოწმებას იმ დებს, რომლებთანაც ვსტუმრობ?

2. როგორ ვეხმარები სახარების სწავლებაში დებს, რომლებიც მაბარია?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *Visiting Teaching Message, January 2013.* Georgian. 10661 131